

საპროკატორო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროკატორთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОКТОРОВ

26 აპრილი, კვირა, 1987 წ. № 82 (1958) შპსი 8 აბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური აღზრდის მნიშვნელოვან დასახუთავალი სისტემა მთავარია, რომლის პირველი რგოლია საბავშვო ბაღი. „ლელო“ ვალ საზოგადოებრივი გამომცემლობის დასახუთავალი მუშაკების მუშაობაში არსებული ნაკლი. საჯარო მსჯელობის სახეად აქვია შეაჩინილი ვითარება. მსჯელობისას გამოიკვეთა როგორც მიღწევები, ისე ნაკლოვანებები და პარასპეტივები. რამდენია იმედოვნება, რომ შესაბამისი ხელშეწყობით მრავალი სპეციფიკი, ყველა, ვისაც ეს საჩემი უნება, აქედან სპორტულ დასახუთავალი გამომცემლობის დიდი ვიწრო ვარიანტის ციკლი უზაღვრავს. (იხ. მ-2 გვ.).



ქიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სპორტულ დარბაზში დღევანდელ მოსწავლე კალათბურთელთა (1972-1978 წლებში დაბადებული გოგონები) 1987 წლის პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუხთავის, გორის, სამტრედიის, ზესტაფონისა და თელავის გუნდები. შეჯიბრება 30 აპრილამდე გასტანს.

„კვირიდან კვირამდე“  
„იზმისტიკა“ — 21 აპრილი. „ათლეტიკური ტანვარჯიში მხოლოდ კუნთები არაა“. ათლეტიკური ტანვარჯიშის პრობლემებზე დღევანდელი მსჯელობის განხილვისას ცნობილი საბავშვო რესპეციტი და მწერალი იური გლოსოვი.  
„კონსტრუქციონიზმი“ — 21 აპრილი. „მოწყენილობა საგზურით?“ ბავშვობის ტრეისტულ ბნაქ „მზიურ ველში“ მოწყენილობა. არ არის სპორტდარბაზი, აუზი, მოედანი... გზუთის სპეციალური კორესპონდენტები ესაუბრებიან ბანაკის დირექტორს.  
„სოციალისტიკისა და ინფორმაციის“ — 28 აპრილი. „სპორტდარბაზი ოთახში“. ინჟინერი ტ. კუზნეცოვა და მისი ბრიგადის წევრები ანტონოვის საკონსტრუქტორო ბიუროდან აპროექტებენ ლამაზ და ადვილად ასაწყობ საოჯახო სპორტულ ინვენტარს.  
„მედიცინისა და გზუთის“ — 24 აპრილი. „მისტიკისა და ნისლის გარეშე“, ჩინური ტანვარჯიში უზუ — რა შეიძლება მოგვცეს მან? გვესაუბრება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის ინსტიტუტის თანამშრომელი ა. მასლოვი. აქვე იმეტივება სპეციალისტის კომენტარი.  
„სოციალისტიკური სპორტი“ — 25 აპრილი. „გარეული გზა თუ ფუჭი გარაჟა“ „საბჭოთა კავშირში არ არის არც ერთი სამთოსათხილამურო ცენტრი, რომელიც სრულად უზაღვრებს თანამედროვე მოთხოვნებს“.


### ოფიციალური ცნობები

25 აპრილს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი.  
პლენუმმა განიხილა საკითხი: რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.  
მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. ბატაშვილმა.

საპარტიო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა სოციალური სფეროს შემდგომი განვითარების, ადამიანზე ზრუნვის გაძლიერებისათვის გამიზნული პარტიის კურსის განხორციელებაში ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისა და გაკეთების საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის „ჯანმრთელობის“ შემუშავების შესახებ.

### სტუდენტთა დღეების პროგრამით

რესპუბლიკური სტუდენტთა დღეების ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიება მოკრივეთა შეხვედრებია, რომელსაც თბილისის ქიროვის სახელობის პარკის დარბაზში გამართული რინგი მასპინძლობს. სასპორტო 9 უმაღლესი სასწავლებლის 70-მდე სტუდენტი შეიკრიბა. ტურნირის მთავარი მსაჯია სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით კვაჭავაძე.  
სტრატეგი თქვენ ხედავთ ამ ასპარეზობის ერთ-ერთ მომენტს. რინგზე არიან ნუკრი ჯაჭავაძე და დავით უსუპიანი.



სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!  
27 აპრილს, 18 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება მხატვრულ ტანვარჯიშში ჟურნალ „საქართველოს ქალის“ პრიზი საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების წარმომადგენელთა თათბირი და პრესკონფერენცია. იქვე ჩატარდება ჟურნალისტთა აკრედიტაცია.

### ორი გამარჯვებული

ბრიუსელში დამთავრდა მოქალაქე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. ბოლო, XI ტურში გარი კასპაროვმა მოუგო მიხეილ ტალს, ხოლო ლიუბომირ ლიუბოვიჩი (იუგოსლავია) და ანატოლი კარპოვი დაზვიდნენ. ამრიგად, კასპაროვმა და ლიუბოვიჩმა 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს. კარპოვი 7 ქულით III ადგილზე დარჩა.

### რეზიმი

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე სამოყვარულო რეგების საერთაშორისო ფედერაციის XII პირველობის მატჩში საბჭოთა კავშირის ნაკრები შეხვდა რუმინეთის გუნდს. ანგარიში 18:12 გაიმარჯვეს რუმინელებმა.

### ალვა-ინფორმაცია

გუშინ ვაჟთა ჩოგბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი უამინდობის გამო დარბაზში გაგრძელდა. გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. დავით კაჭარავამ მოუგო ჩეხოსლოვაკიელ ტომას ზდრაჟილს — 6:4, 6:4. ჩვენი ჩოგბურთელი დღეს ფინალში შეხვდება თავის მეწყვილე ანდრეი ჩერასოვს. კაჭარავამ და ჩერასოვმა წყვილთა ფინალში სძლიეს ჩეხოსლოვაკიელ მიშკოლც — ზდრაჟილს დუბლებს — 7:5, 6:4.

## СОВЕТСКАЯ РОССИЯ

Орган ЦК КПСС, Верховного Совета и Совета Министров РСФСР

### მკლეთაქლა

ესაბეთში, ბასკთა ქვეყანაში, დიდ პოპულარულია შეჯიბრებები სიმძიმეების აწევაში. ამბობენ, რომ ამგვარი შეჯიბრებები უძველესი ისტორიიდან იღებს სათავეს, ვინაიდან ბასკებს საუკუნეთა მანძილზე უხდებოდათ მძიმე ქვების გადაყრა თავიანთი სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.

რამდენიმე წელია უფლებამ იცის, რომ საქართველოში გვაქვს ე. წ. „საქილდაო ქვა“, რომელიც ხალხური ვარჯიშების და შეჯიბრებათა ერთ-ერთი უცოდლოდელი ატრიბუტია. საინტერესოა ამ საქილდაო ქვის ისტორიული გენეზისი, ხომ არ უკავშირდება იგი ბასკთა ტრადიციას, მათაც თავიანთი სავარგულეების გაწმენდა უხდებოდათ მძიმე ქვებისგან და აქამდე შემორჩენიათ მძიმე ქვების აწევის ტრადიცია?  
ხალხურ თამაშობათა და ვარჯიშების სპეციალისტებს ვთხოვთ დაინტერესდნენ ამ საკითხით და მათ მოხაზრებებს ხიამოვნებით გავუზიარებთ ჩვენს მკითხველებს.

### „საქართველოს ქალის“ პრიზი

მხატვრულ ტანვარჯიშში ოლიმპიური სტატუსი მოიპოვა და მიუხედავად იმისა, რომ ამ სახეობას არც აქამდე აქვდა პოპულარობა, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. საინტერესოა სანახაობას გვპირდება თბილისის მე-3 საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 28 აპრილს იწყება სპორტის სასახლეში. სარბიელზე გამოვლენ და ქურნალ „საქართველოს ქალის“ პრიზისთვის იბრძოლებენ კანადის, იუგოსლავიის, გერმანიის, იტალიის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები (ეს შეჯიბრება ქურნალ „სოვეტსკაია ჟენშინას“ პრიზის გათამაშებაში შედის).  
პირველი ასეთი ასპარეზობა თბილისში 1985 წელს ჩატარდა, — გვიტხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა მხატვრულ ტანვარჯიშში ლანა მეყანაშვილმა. — თბილისელებს საშუალება ჰქონდათ თვალი ედევნებინათ მსოფლიოში ცნობილი ტანვარჯიშების გამოსვლებისთვის.  
წლებადღეული შეჯიბრების მონაწილეებზე რას გვეტყვი?  
— გარდა ჩვენი ქვეყნის ნაკრებისა, ცალკე იასპარეზებს საქართველოს გუნდი. სარბიელზე ვიხილავთ უძლიერეს სპორტსმენებს. ესენი არიან: ბრესტელი ეკატერინა გურინა, ომსკელი სანია ბაბი, სტაგროპოლელი ლარისა სეჩენკოვა; საქართველოს გუნდში გამოვლენ: ირმა ყიფშიძე, ნატო ლეშაშვილი, ინგა ჩხაიძე, ელისო ბედოშვილი და იზო მთავარიშვილი.  
სტუმრებზე კი მხოლოდ ის შემოიძლია ვთქვა, რომ იტალიელები, იუგოსლავიელები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები შარშანაც წარმატებით გამოვიდნენ თბილისში, კანადელი და პოლონელი გოგონები კი ამ შეჯიბრების დღიუტანტები არიან.



### ჯანმრთელობა — უპირველესი საგანძარი!

რაც დრო გადის მოხალხეობის ფართო ფენები სულ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი. გააქტიურდნენ სპორტული ბაზები, ყალიბდება გამაჯანსაღებელი ჯგუფები. ახლა უფრო უნარაინად იყენებენ სპორტული ბაზები შესაძლებლობებს. თითქმის ყოველ კვირა დღეს ტარდება საკავშირო კალენდრით გათვალისწინებული მახობრივი ღონისძიებები. დღეს სტარტზე გამოდიან რბენისა და ხიარულის მოყვარულნი. დღესვე თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე ტარდება „ლია კარის დღე“. ყველა მსურველს, მათ შორის ოჯახებს, შესაძლებლობა მიეცემათ უფასოდ ხიარგებლონ ველოსიპედებით და სხვა სპორტული ინვენტარით, აქტიურად დაისვენონ და გაიკეთონ ორგანიზმი. იქვე მოეწყობა შეჯიბრებები, სულ პატარები კი სამთვლიანი ველოსიპედებით იასპარეზებენ. ამ ღონისძიებას ჩვენი ველოდრომი პირველად ატარებს.

„განსაკუთრებული წინიღობა იწყებს მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდაში ფიზკულტურა-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა, დასვენების ორგანიზაცია, სწავლა-გეგმვაში ფიზიკური აღზრდისთვის კვირადღის მთლიანი მთლიანი დროის გამოყენება. ფიზიკური ნაწილისა და ახალგაზრდობის განვითარების განვითარების სწავლა-გეგმვაში, მსხვილგანვითარებული, სიმსუქნისა და სხვა სწავლებით დასავსებულ მოსწავლეთა განსაკუთრებულ მზარდი რიცხვის გულგრილ კომპლექსურად გეგმვაში“

სარკვევზე - სავარაუდო

დღეს, როცა ასე მასშტაბურად მიმდინარეობს გარდაქმნა ცხოვრების ყველა სფეროში, როცა განახლება და დრომოჭმულის უარყოფა აუცილებელ ნორმად იქცა, მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდაშიც ძირეული ძვრები მოსალოდნელია. ეს დღევანდელი გარდაუდებული მოთხოვნაა. ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაში გარდაქმნების სრულყოფილად განხორციელება უშუალოდ უკავშირდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმას, რომლის ექსპერიმენტის წესით განხორციელების ერთ-ერთი პიონერი ჩვენი რესპუბლიკა გახლავთ.

„ლელოს“ შევითხვევს უბასუბებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი მურთაზ მნათობაშვილი.

● გარდაქმნა, ცხადია, პირველი რიგში სასკოლო რეფორმაში უნდა პოვოს ახსნა. რა ცვლილებები მოხდება სასკოლო ფიზკულტურაში?

— ცოცხა გამბედილი სკოლის ჯერჯერობით გარდაქმნა ფიზიკური აღზრდის სწავლებას ოდნავადაც არ შეეხება. არ იფიქროთ, მხედველობაში მხოლოდ სასკოლო ფიზკულტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მქონდეს. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვიანებით მოგვინახებთ. ჯერ ის მინდა გითხრათ, რომ ფიზიკურ აღზრდას, როგორც საგნისადმი, ჩვენი ხელმძღვანელების, უშუალოდ სკოლის დირექტორების, განათლების განყოფილების გამგეების და სხვათა დამოკიდებულება იმდენად ზერეულა, რომ ვინც ამ თემაზე საუბარს იწყებს, გულსიტყვილს გამოთქვამს ან პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ცდილობს, ალმაცერად უყურებენ. საწყენია, რომ ისინი ცხოვრებას ჩამორჩენენ, ვინ გრძნობენ ბავშვთა განვითარებას საფრთხე რომ ემუქრება, და რა გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს საქმისადმი ამგვარ დამოკიდებულებას.

შარჟან „სოვეტსკი სპორტში“ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ოთარ ჩერქეზიას წერილი დაიბეჭდა, რომელშიც ბევრი საინტერესო მისაზრება გამოთქმული და მწვავე პრობლემა დაყენებული, მხოლოდ ერთ ადგილს მოვიყვანთ: „მე ცუდად მაქვს წარმოგეგნილი ნებისმიერი რანგის თანამედროვე ხელმძღვანელი, რომელიც გულგრილია სპორტის პრობლემების მიმართ. თუ ის ასეთია, ესე იგი ჩამორჩა ცხოვრებას“. ცხოვრებას ჩამორჩენილი ხელმძღვანელი კი, რაღა დაგიბალოთ და, ცოცხა.

● ზოგჯერ ამბობენ, რომ ტექნიკური პროგრესის ბრალიცაა ფიზიკური კულტურის როლის გაუფასურება.

— ტექნიკურმა პროგრესმა თანამედროვე აღმართის ბევრი სიკეთე მოუტანა. სიბეცე იქნება, ეს რომ არ დაინახათ. მაგრამ ამ სიკეთეს, სამწუხაროდ, თან მოჰყვა უმოძრაობა — ჩვენი საუკუნის უმოძარგის სენი. უმოძრაობის დამლუპველი გავლენა ადამიანის განვითარებაზე ნათლად ისახა სტატისტიკურ მონაცემებში. 1938 წლისთვის, მაგალითად, გულსისხლძარღვთა დაავადებების 11 პროცენტი ტრავმატიკულად მთავრდებოდა, დღეს კი ამ მაჩვენებელმა 52 პროცენტს მიაღწია. სპეციალისტებმა ისიც კი გამოიანგარიშეს, რომ სახელმწიფოს ამ მაჩვენებლის 1 პროცენტით შემცირება 300 მილიონი მანეთი უდრის. არადა, დაავადების დროული და ეფექტური პროფილაქტიკა ფიზიკური ვარჯიშების, აქტიური ცხოვრების დახმარებით უფრო ადვილი და ხელმისაწვდომია. როგორც ხედავთ, დღეს განვითარების დაცვისა და ფიზკულტურული ორგანიზაციების

ერთიანობა, მათი მუშაობის სინქრონიზობა გარდაუდებელი აუცილებლობას წარმოადგენს.

● სამწუხაროდ, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ჯერ კიდევ იგრძნობა გლობალური საკითხებისადმი ფორმალური დამოკიდებულება. რას იტყვით ამის თაობაზე?

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდისადმი

დროულად დამოკიდებულების ერთ მაგალითს აქვე მოვიყვან. რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა დავებო ბიუროკრატიული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სკოლებში ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა ქალაქებისა და დასავლეთის სიმაღლის ფასდაზღვევად. რაც უფრო ბევრი იყო ასეთი მაკულატურა, მით უფრო კარგად უნდა ყოფილიყო საქმე.

ახლა კი გადაწყვიტეთ ქალაქების გროვა გვერდზე გადავიდეთ და საკუთარი თვალით გვეჩვენა, რამდენად სწორად აფასებენ ბავშვის მომზადებას ფიზიკური აღზრდის საგანში, აქ შემოწმების სუბიექტურ მოსაზრებებს არ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა.

● კონკრეტულად რა დაგანახათ ამ შემოწმებაში.

— შემოწმების შედეგები, სამწუხაროდ, დამაფიქრებელია. მაგალითად, თბილისის 22-ე სკოლის მე-3 კლასში ფიზიკურ აღზრდის გაკვეთის 40-დან 16 მოსწავლე ესწრებოდა. მათგან ათმა არადაამკაყოფილებელი შეფასება მიიღო. VII კლასში 18 მოსწავლედან ცამეტმა არადაამკაყოფილებელი შეფასება დაინიშნა. მეტსაც გეტყვით, ერთ მეოთხედში აქ მოსწავლეთა მომზადება საერთოდ არ შეუფასებიათ. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა 23-ე, 31-ე, 68-ე და სხვა სკოლებშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს მიერ არადაამკაყოფილებლად შეფასებულ ბევრ მოსწავლეს მეოთხედის ბოლოს მაღალი ნიშნები დაუწერეს.

● თქვენ ბრძანეთ გაკვეთის 40-დან 16 მოსწავლე ესწრებოდა, რაშია საქმე?

— დანარჩენები სამედიცინო კაბინეტში იყვნენ, სადაც სამედიცინო პერსონალის მიერ ყალბი ცნობები ფორმდებოდა.

● რაი სიტყვამ მოიტანა, იქნებ უფრო ჰაფიოდ გამოკვეთოთ სასკოლო მედიცინის როლი და ადგილი ფიზიკურ აღზრდაში?

— გამოსაკვეთი არაფერია. სამწუხაროდ, ფიზკულტურის გაკვეთილები ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ ფორმალურად ტარდება. ყველასთვის ცნობილია, რომ ოქროს მედიცინის პრეტენდენტს არავინ გაუფუჭებს ნიშნებს ფიზკულტურაში მიღებული დაბალი შეფასებით. მათი აზრით ეს დიდი ცოდვაა. არადა, ვის რად უნდა ისეთი ოქროს მედალი, რომლის პრეტენდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა სამედ-

ბოდეს. ცოდნამ ტანის სილამაზე და ჯანმრთელობა არ უნდა შეიწიროს.

● ერთი სიტყვით, ფიზიკური აღზრდის გაკვეთის ძველი ავტორიტეტი უნდა დაფიქრდეთ!

— დიხ, უნდა დაფიქრდეთ. იყო დრო, როცა ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები, სხვადასხვა დარგის მოღვაწეები თავიანთ პირდაპირ საქმეს თავს ანებებდნენ, რა თქმა უნდა, დროებით და სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლებად მიდიოდნენ. ასე მოიქცა კერძოდ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი ვიოტა ნიკოლაძე. როგორ გგონიათ ეს სწავლულის ახირება იყო? სრულებითაც არა. ვიოტა ნიკოლაძემ და მისმა მსგავსმა ღირსეულმა მამულიშვილებმა

რეოტიკი შეიქმნა, ის მასწავლებლები, რომლებიც ძველ ტრადიციებს კეთილსინდისიერად აგრძელებენ და ყამთა ცვლილებებს არ ეუბნებიან, ალბათ გამოგებენ და არ მისაყვედურებენ. საქმარისია რომელიმე ხელმძღვანელმა რაიმე არასწორი დირექტივა დაუშვას ეს მასწავლებლები გასაოცარი ოპერატიულობით აიტაცებენ ხოლმე მას და უმალ განხორციელებას შეუდგებიან. სწორედ ამ გზით დაფიქრებულ ეძლევა მეცადინეობის დაწყებამდე სასარგებლო ტანვარჯიში, დიდი დასვენება, რომელიც განუყოფელი იყო მოძრაობის თამაშებისათვის, ფიზკულტურული წუთი გაკვეთილებს, განმრთელობისა და სპორტის დღეები, კლასგარეშე მუშაობა, მშდ კომპლექსის ნორმატივების მომზადება-ჩაბარება, იმედისა და მხიარული სტარტები, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ხშირად ფერხდება შიდასკოლო სპორტული ღონისძიების სტაბილური კალენდრით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მოწყობაც. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ არასპეციალისტები, რომლებსაც ხშირად „იდეები“ აწუხებთ, კვირადღეების ღონისძიებათა ახალ-ახალ ვარიანტებს გვთავაზობენ. ფიზკულტურის მასწავლებლებიც „ვალდებულნი“ არიან მათ დაეხმარებინათ დაემორჩილონ. და იწყება მოუშვადებელი ბავშვებით ყოვლად უსარგებლო ღონისძიებებში გამოხვევა. არადა, მოსწავლეთა შიდა-სასკოლო კალენდრით ამ დროს ტანვარჯიში, მძლეობისა ან ვოქვათ ვახებური აქვთ დაგეგმული, ამ სახეობებში უნდა ივარჯიშონ.

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ახალ, კომპლექსურ პროგრამაზე. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ ამის გაკეთება შეეძლება. დიდი მუშაობა დაწყებული ფიზკულტურული სახელმძღვანელოს შესადგენად, მაგრამ ზოგ მასწავლებელს, სამწუხაროდ, ძველიც არ წუთი-თხავს.

შარჟან ფიზკულტურაში ჩათვლები შემოვიღეთ. უნდა ვიღიარო, რომ ამ საქმეს დროულად ვერ მივხვდეთ, დიხ, ეს ჩემი ბრალიცაა და ფორმალისმის მსხვერპლი აღმოვჩნდი, ზუსტად ისეთი ფორმალისმისა, რომლის კლანჭებში სტატისტიკური ანგარიშების შედგენისას ვვარდებო.

● თქვენ თქვით, რომ მოსწავლეთა უმოძრაობა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობამ უნდა გამოაცოცხლოს. რა ხიხინების დანერგვას ამბობთ?

— აკი მოგახსენეთ, უპირველესი ამოცანა ის არის, რომ სკოლამ იხელმძღვანელოს შიდასკოლო სპორტულ ღონისძიებათა სტაბილური კალენდრით. იქ, სადაც სპორტული ბაზები არა აქვთ, ბავშვები სპორტულ სკოლებსა და ჯანმრთელობის ჯგუფებში უნდა გავაერთიანოთ.

მიზანი ერთია! არც ერთი ბავშვი ფიზკულტურის გარეშე არ უნდა დარჩეს. მეტსაც გეტყვით, ბავშვები ფიზიკურ შრომას უნდა შეეჩვიონ. გვახსოვდეს, რომ ბავშვის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უმადლესი ღირებულებაა.

(დასასრული იქნება)

# გარდაქმნა კი იბჰიანებს

დროულად დამოკიდებულების ერთ მაგალითს აქვე მოვიყვან. რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა დავებო ბიუროკრატიული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სკოლებში ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა ქალაქებისა და დასავლეთის სიმაღლის ფასდაზღვევად. რაც უფრო ბევრი იყო ასეთი მაკულატურა, მით უფრო კარგად უნდა ყოფილიყო საქმე.

ციხო ჩაოვებს აკვირობებს. საინტერესოა, რა უფრო გამოადგება ცხოვრებაში ახალგაზრდას, მედალი თუ ჯანმრთელობა? ამაზე არავინ ფიქრობს.

შეიქმნა ერთი სტერეოტიპი: ფიზკულტურის გაკვეთის დაწყებამდე სამედიცინო კაბინეტთან მოსწავლეები ფუსფუსებენ. ზოგი გრძელვადიან ცნობას იღებს, ზოგი ერთჯერადს. მიზანი ერთი აქვთ: როგორმე განარიდონ თავი ფიზკულტურის გაკვეთის. არადა, სამედიცინო პერსონალმა თავად უნდა დაეხმარებინათ პრობლემა ფიზიკურ აღზრდის გაკვეთის. მიუტევებელ დანაშაულად მიმჩნია, როცა ჯანმრთელ ბავშვს ექიმი ავადმყოფის დიაგნოზს უსვამს იმ მიზნით, რომ მოსწავლემ ფიზკულტურის გაკვეთილი გააციდინოს.

● გამოსავლს რაში ხედავთ?

— ფიზიკური აღზრდის საგანში თითოეულ მოსწავლეს რეალური შეფასება უნდა მიეცეთ, იმის მიხედვით, თუ ვის რა ძალუქს და ვის რა შეუძლია. ბერე იქნება თანდათან მშობლებიც ამოგვიდგენ მხარში და საშინაო დავალება ბავშვებს თერთონ მიამზადებინონ, დიხ, საშინაო დავალება ფიზკულტურაში ნუთუ მტკიცება ჰქონდება იმას, რომ მანქანით სკოლაში, უცხო ენების კერძო გაკვეთილები, მუსიკაზე, ცეკვაზე ბავშვების ტარება თავად ბავშვებისთვის არის საზიანო. ჩვენ მუსიკის ან უცხო ენების წინააღმდეგი არა ვართ. თანამედროვე ცხოვრება ბავშვებისაგან ყოველმხრივ და პარამოიულ განვითარებას მოითხოვს, სწორედ ამიტომ ბავშვი გონებრივად და ფიზიკურად თანაბრად უნდა ვითარდებოდეს.

ცილოდნენ. რომ ერის სიძლიერე პირველ ყოვლისა ფიზიკურად ჯანმრთელი და ღონიერი ახალგაზრდების სიმრავლეშია.

ამიტომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკურმა აღზრდამ, თავისი ადგილი უნდა დაიკვიდროს. ეს რომ ასე მოხდეს, სკოლის დირექტორებმა და ხელმძღვანელებმა მუშაობა ამ საგანზე აზრი უნდა შეიცვალონ.

მასხენდება ამს წინათ გაზეთ „სახალხო განათლებაში“ დაბეჭდილი წერილი ამერიკული სკოლის რეფორმის შესახებ. რეფორმის თანახმად ამერიკული სკოლების 70 პროცენტისთვის სამი სავალდებულო საგანი განუსაზღვრიათ: მშობლიური ენა, საზოგადოებათმცოდნეობა და ფიზკულტურა. მოსწავლეებისთვის უფლება მიუციათ დანარჩენი საგნები თვითონ აერჩიათ.

● სკოლაში მთავარი ფიგურა, ცხადია, მასწავლებელია. ამიტომ მას საგანგებო მისია აქისრია, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავარი ამოცანის სულიერი და ფიზიკური აღზრდის შეხამებაში ერთგვარი შეუსაბამობა იგრძნობა. ფიზკულტურის მასწავლებელი ერთი ან ორია, სხვა საგნის მასწავლებლები მრავლად არიან. ჩვენ გვეჩხის, რომ მოსწავლეთა ფიზიკურ მდგომარეობაზე პასუხს სკოლის პედაგოგიური კოლექტივი აგებს, მაგრამ მთელი ხმამაღლ მანაც ფიზიკურ აღზრდის მასწავლებლებს აწევს. რას ფიქრობთ, როგორ შეიძლება ამ საკითხში პარამონის მიღწევა?

— დავიწყეთ იმით, რომ ბოლო დროს სკოლებში ფიზკულტურის მასწავლებლის უარყოფითი სტე-



ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური აღზრდის ბევრი მასწავლებელი კეთილსინდისიერად ეკიდება თავის მოვალეობას — გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს. თბილისის 108-ე საშუალო სკოლა. მიმდინარეობს „ღია გაკვეთილი“.

ეს ფოტოსურათი საქმეშია მოგვარდა. რუსეთის ბევრი ქალაქის სკოლებში წელიწადის ყველა დროს მეცადინეობის დაწყებამდე ტარდება დილის ვარჯიში, ჩვენთან კი ასეთ სურათს, სამწუხაროდ, იშვიათად თუ იხილავთ.





# ახსოვს უკვე შედეგით

**პრეზენტი** დამთავრდა სომხეთის დედაქალაქის ღია პირველობა ნორჩ ბაღმინტონისტა შორის. კიეველ, კრასნოდარელ, ერევნელ, ლენინაკანელ თანატოლებთან ერთად სარბიულზე თბილისელი და ქუთაისელი სპორტსმენებიც გამოვიდნენ. შეჯიბრება სამ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა.

თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდთან ყველაზე დიდ წარმატებას პერსპექტიულმა ბაღმინტონისტმა ირინა ოსიპოვამ მიაღწია. ირინამ საშუალო ასაკის — 1971-1972 წლებში დაბადებულ გოგონათა შეჯიბრებაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

თავი ისახელებს ქუთაისის განათლების განყოფილების სპორტთამაშების სკოლის გუნდის წევრებმა.

ულის მარჯველავილმა (დაბადების წელი 1973), რომელიც უფროსებთან ერთად (1969-70 წწ) გამო-


ვიდა, აბსოლუტური შედეგი არცაა. მან ჯერ ერთეულში გაიმარჯვა, შემდეგ ერთეულ მარჯველავილთან (ბიძაშვილთან) ერთად გოგონათა წყვილებში დაიკავა პირველი ადგილი და შერეულ წყვილთა თანრიგშიც თანაბრდულ გვიე კუბრავასთან ერთად გაიმარჯვა. ვაჟთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ზაზა ბაჩილავა და გიგა კუბრავა. ზაზა საშუალო ასაკის ვაჟთა შეჯიბრებაშიც გამოვიდა, სადაც ერთეულთა შორის მეორე ადგილს დასჯერდა.

უმცროსი ასაკის (1973-1974 წლებში დაბადებულნი) გოგონების შეჯიბრებაში ერთეულთა ფინალში ფატი შალამბერიძემ ელისო სოფრომაძე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. ჰაბუტაძეში ზაზა წულაძემ მხოლოდ ფინალური შეხვედრა წაგო ერთეულ ს. სარხიანიანთან და მეორე ადგილზე გავიდა. („ლელოს“ სპ. კორ.)

## სიმატრი

**საპარაკო** კომპოზიციის ნიმუშებს შორის გარკვეული ადგილი უკავია ამოცანებს, რომელთა ამოხსნაში ან ფიგურების განლაგებაში დიდ როლს ასრულებს სიმატრია. დავეკვირდეთ ღიაგრამას.

3. პაული, 1916



შამათი 4 სვლაში

ფორმის პარამონიულობის მიუხედავად, მკითხველებმა შეიძლება იფიქრონ, რომ საწყისი პოზიციის სიმეტრიულობა თანაბრობს სპირობებს ქმნის. მაგრამ ვინაიდან აქ, დაფის და ფიგურების განლაგების სიმეტრიის ღერძები ერთმა-

ნეთს არ ემთხვევა, ამოხსნა მხოლოდ ერთადერთია. 1. g7! მდ5 2. e7 მდ6 (მდ6) 3. e8f და 4. ე6X, ხოლო თუ 2. ...მდ6, მაშინ 3. მდ6! მდ5 4. ე7X. ცხადია, არ შეიძლება 1. ე7? მდ5 2. e7 მდ6! e8f 3. მდ6! და შამათი არ არის.


ამ თავისებური (ფორმით სიმეტრიული, ამოხსნით ასიმეტრიული) ამოცანის ავტორია საქადრაკო ამოცანის კორიფე ვოლფგანგ პაული (1876-1934), რომლის სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი კომპოზიციის ისტორიაში. პრობლემისტიკოლევებს შორის იგი არა მარტო სიმალით (1,96 მ), არამედ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი შემოქმედებით გამოირჩეოდა (შეადგინა 3000-მდე ნაწარმოები!). პაული თურმე ძალიან სწრაფად ხსნიდა ამოცანებს, იყო გულისხმიერი ადამიანი და კომპოზიციის დიდი მოამბე, ერთ-ერთი უმდიდრესი საქადრაკო ბიბლიოთეკის პატრონი. ცხოვრობდა ბუქარესტში და მუშაობდა ერთ-ერთი მსხვილი სადაზღვევო კომპანიის დირექტორად. აღსანიშნავია, რომ მან, ასტრონომიით გატაცებულმა 22 წლის ასაკამდე, აღმოაჩინა კომეტა, რომელიც ვარსკვლავთა ატლანტის „პაულის კომეტის“ სახელწოდებით შეიქცა.

გ. პაულის დახვეწილი და მახვილგონივრული შინაარსის ამოცანები

## ხელმძღვანელი შაქა ნიქიძე

ფართოდ არის ცნობილი კომპოზიციის საპარაკო მას „ანსაკურდ ბით იზრდავდა მინდრეუბით (სპილდვილიანი ნაწარმოები), ტყე-ტე-ამოცანა და სიმეტრიული ფორმის ქმნილებები. ერთ-ერთი მათგანს, რომელშიც სიმეტრიის მოტივი თვით შინაარსში ვლინდება, ამოხსნის ხელმძღვანელი შაქა ნიქიძე.

3. პაული, 1927



შამათი 4 სვლაში

ველით პასუხებს.

## ამოხსნა

„ლელოს“ 12 პრიზის ნომერში დაბეჭდილი გ. ჩეკარკოვის ხუთსვლიანი ამოცანის ამოხსნა: 1. ედ8 მდ6 2. ე8 მდ6 3. მდ6 მდ7 4. მდ8+ მდ6 5. ე6X. საწყისი დაიგრაზება გამოხატული ტერმინების ინიციალი — რუსული ასო „ტ“ ფინალში ი. გაგარინის ინიციალ რუსულ ასო „გ“-დ იქცევა.

ვაჭყენებთ იმათ გვარებს, ვინც სხვებზე ადრე გამოგვიგზავნა სწორი პასუხი: პ. ნიშნინიძე (ახალი თერჯოლა, თერჯოლის რ.), ნ. რაბ. კახიძე (ორივე — ბათუმი), ნ. ნო ივვიძე და ვ. ბოჭორიშვილი (ორივე — თერჯოლა), ნ. ბესალაშვილი (თბილისი).

## პარანა და პირაქი

**ცენტრალური ტელევიზია.** 28 აპრილი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (1); „სპორტლოტო“ ტირაჟი — 10.15 (1); საერთაშორისო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში ყურნალ „სოვეტსკაია ჟენშინას“ პრიზზე — 19.20 (2); მსოფლიო ჩემპიონატი პოკეში: კანადა — ფინეთი — 19.50 (2); სსრ კავშირის შეჯიბრება ცხენოსნობაში — 21.30 (2); საფეხბურთო მიმოხილვა (სსრ კავშირისა და შეჯიბრების პრესბურსის შეჯიბრების დროს). 27 აპრილი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 9.05 (1); მსოფლიო ჩემპიონატი პოკეში: ჩეხოსლოვაკია — აშშ — 22.40 (2).

**საპარაკო ტელევიზია.** 27 აპრილი. საფეხბურთო მიმოხილვა — 9.05.

**საპარაკო რადიო.** 28 აპრილი. რადიოტურნალი „ფიქტურა და სპორტი“ — 14.30; ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. I ლიგა — 21.30.

## რედაქტორი თ. შანიანი

„ლელოს“ ტელევიზია (ი. ჯაჭვავაძის გამართა, 74) 26 აპრილი რედაქტორი შანიანი

საქართველოს კავშირის თანამშრომელი

„ლელოს“ (თბილისი) „სტამბა“ (მოსკოვი) დასაწყისი 13 საათზე.

# უნივერსია — რეკორდსმანი

სტუდენტთა ზაფხულის მსოფლიო უნივერსიადადმდე ჯერ დიდი დროა. თამაშები, როგორც ცნობილია, წელს ივლისში ზაფხულში გაიხსნება, მაგრამ უნივერსიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმერ პეზოს განცხადებით, ზაფხულში ბევრი რამ უკვე გაკეთდა და ბევრი საშუალო უახლოეს დროში დასრულდება.

სტუდენტთა თამაშების პროგრამაში წლეულს შეიტანეს ზაფხულის სპორტის 12 სახეობა: მძლეონობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ტანვარჯიში, ცურვა, წყალში ბრძოლა, წყალბურთი, ჩოგბურთი, ფარეჯობა, ფეხბურთი, აკადემიური ნიჩბოსნობა და შეჯიბრებები ბაიარებითა და კანოეებით რბოლაში (ორი უკანასკნელი სახეობა ზაფხულის უნივერსიადების პროგრამაში პირველად მოხვდა).

ბის პროგრამაში პირველად მოხვდა). წინასწარი მონაცემების მიხედვით, ზაფხულში სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობა შეიარბება. ვარაუდობენ, რომ სტუდენტთა შეჯიბრებებში მონაწილეობის 5 ათასზე მეტ სპორტსმენს და 1200-მდე ჟურნალისტს.

## პირობები — გავატი

**პატივცემულ რედაქციას!** მაღლობს მოგახსენებთ „ოქროს ბურთის“ ლაურეატთა ბიოგრაფიის დახვედრისთვის. გთხოვთ, გავაცნოთ ის ფეხბურთელები, რომლებმაც „ფრანს ფუტბოლის“ რეფერენდუმში მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

წაზარა ხანტუკია. აბაშა.

## „ფრანს ფუტბოლის“ რეფერენდუმის კვარცხლბაკი

ეს, ალბათ, ჩვენი გაზეთის სხვა მკითხველებსაც აინტერესებთ, ამიტომ ვადაწვევით გავაცნოთ იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც პირველ სამ ადგილზე გასულ „ოქროს ბურთის“ კონკურსში. მოთამაშის სახელისა და გვარის შემდეგ, ფრანსულშია ჩასმული ქვეყანა, რომელსაც წარმოადგენდა სპორტსმენი და ის კლუბი, რომელშიც იგი გამოდიოდა.

1956. 1. სტენლი მეტიუზი (ინგლისი). ბლეკჰუილი. 2. ალფრედო დი სტეფანო (არგენტინა, ესპანეთი). მადრიდის „რეალი“, 3. რაიმონ კოპა (საფრანგეთი). „სტად დე რეიმსი“;

1957. 1. ალფრედო დი სტეფანო (არგენტინა, ესპანეთი). მადრიდის „რეალი“, 2. ბილი რაიტი (ინგლისი). „ველფორდემპტონ უონდერერსი“, 3. რაიმონ კოპა (საფრანგეთი). „სტად დე რეიმსი“;

1958. 1. რაიმონ კოპა (საფრანგეთი). მადრიდის „რეალი“, 2. ჰელმუტ რანი (გფრ, ესპანეთი). „როტ ვაისი“, 3. ჟიულ ფონტენი (საფრანგეთი). „სტად დე რეიმსი“;

1959. 1. ალფრედო დი სტეფანო (არგენტინა, ესპანეთი). მადრიდის „რეალი“, 2. რაიმონ კოპა (საფრანგეთი). მადრიდის „რეალი“; 3. ჯონ ჩარლზი (უელსი). ტურინის „იუვენტუსი“;

1960. 1. ლუის სუარესი (ესპანეთი). „ბარსელონი“, 2. ფერენც პუშკაში (უნგრეთი, მადრიდის „რეალი“), 3. უიგი ზეველანი (გფრ. „ჰამბურგერ შპორტკლუბი“);

1961. 1. ომარ სივორი (არგენტინა, იტალია). ტურინის „იუვენტუსი“, 2. ლუის სუარესი (ესპანეთი, მილანის „ინტერნაციონალე“),

3. ჯონ ჰენსი (ინგლისი). ლონდონის „ფულჰემი“);

1962. 1. იოზეფ მსოპუსტი (ჩეხოსლოვაკია). პრაღის „დუკლა“, 2. ეუსებიო (პორტუგალია). ლისაბონის „ბენფიკა“, 3. კარლ-ჰაინც შნელინგერი (გფრ. „იოლინი“);

1963. 1. ლეე იაშინი (საბჭოთა კავშირი). მოსკოვის „დინამო“, 2. ჯანი რივერა (იტალია). „მილანი“, 3. ჯიმი გრეისი (ინგლისი). ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“);

1964. 1. დენის ლოუ (შოტლანდია). „მანჩესტერ იუნაიტედი“, 2. ლუის სუარესი (ესპანეთი). მილანის „ინტერნაციონალე“, 3. აბარო აბანსიო (ესპანეთი, მადრიდის „რეალი“);

1965. 1. ეუსებიო (პორტუგალია). ლისაბონის „ბენფიკა“, 2. ჯაჩინტო ფაკეტი (იტალია). მილანის „ინტერნაციონალე“, 3. ლუის სუარესი (ესპანეთი). მილანის „ინტერნაციონალე“);

1966. 1. ბობი ჩარლტონი (ინგლისი). „მანჩესტერ იუნაიტედი“, 2. ეუსებიო (პორტუგალია). ლისაბონის „ბენფიკა“, 3. ფრანც ბეკენბაუერი (გფრ. მიუნჰენის „ბაიერნი“);

1967. 1. ფლორიან ალბერტი (უნგრეთი). ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“, 2. ბობი ჩარლტონი (ინგლისი). „მანჩესტერ იუნაიტედი“, 3. ჯიმი ჯონსტონი (შოტლანდია). გლაზგოს „იუველტიკი“);

1968. 1. ჯორჯ ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია). „მანჩესტერ იუნაიტედი“, 2. ბობი ჩარლტონი (ინგლისი). „მანჩესტერ იუნაიტედი“; 3. დრაგან ჯაიჩი (იუგოსლავია). ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“);

1969. 1. ჯანი რივერა (იტალია). „მილანი“, 2. ლუიჯი რივა (იტალია). „კალიარი“, 3. გერდ მიულერი (გფრ. მიუნჰენის „ბაიერნი“);

1970. 1. გერდ მიულერი (გფრ. მიუნჰენის „ბაიერნი“), 2. ბობი მური (ინგლისი). ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“, 3. ლუიჯი რივა (იტალია). „კალიარი“);

1971. 1. იოჰან კრუფი (ჰოლანდია). ამსტერდამის „აიაქსი“, 2. ალესანდრო მაცოლა (იტალია). მილანის „ინტერნაციონალე“, 3. ჯორჯ ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია). „მანჩესტერ იუნაიტედი“);

1972. 1. ფრანც ბეკენბაუერი (გფრ. მიუნჰენის „ბაიერნი“), 2. გერდ მიულერი (გფრ. მიუნჰენის „ბაიერნი“), 3. გიუნტერ ნეტციერი (გფრ. მიონხენგლადბახის „ბორუსია“);

1973. 1. იოჰან კრუფი (ჰოლანდია). „ბარსელონი“, 2. დინო ძოლი (იტალია). ტურინის „იუვენტუსი“, 3. გერდ მიულერი (გფრ. მიუნჰენის „ბაიერნი“);

1974. 1. იოჰან კრუფი (ჰოლან-

**გვენი მისაგარაძე:** წერილებისთვის — 830086. თბილისი, ლენინის ქ. 14. ლეგენებისთვის — თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:** ხანდელი — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-52, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მერანი“ — 93-97-28, „მარტვი“ — 93-97-27.

**83060 ინფორმაცია:** 66435

საქართველოს კავშირის თანამშრომლის შრომის წითელი დროშის ორდენის ხტამა. 830096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდვა ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.